



27 ივლისი, 2006 წელი

”ველოსიპედები საზღვრებს გარეშე - გეზი აღმოსავლეთისაკენ” - საერთაშორისო ახალგაზრდული გაცვლის პროექტი საქართველოში

2 – 10 ივლისი, 2006 წელი
ბათუმი და თბილისი

დღესდღეობით ქართველებისათვის ყველაზე გავრცელებული მიზეზი დაგვიანებისა, არის საცობები გზებზე. დღის განმავლობაში საცობების გამო მანქანების გადაადგილება ქალაქის ქუჩებში ძალიან შენელებულია, რაც იწვევს ჰაერის უფრო მეტ დაბინძურებას და უფრო მეტ ხმაურს ვიდრე ეს ჩვეულებრივ უნდა ხდებოდეს, ამის შედეგად კი ფეხით მოსიარულეები და ველოსიპედისტები მავნე გამონახოლქვს სუნთქავენ. თბილისი მთავრობის ერთერთი პრიორიტეტი 2007 წლისათვის არის ინფრასტრუქტურის განვითარება, მარამ, მიაქცევენ თუ არა ისინი ყურადღებას ფეხით მოსიარულეებისათვის და ველოსიპედისტებისათვის უფრო მეტი სამომხრად ადგილის დათმობას? იზრუნებენ თუ არა იმაზე, რომ ქუჩები უფრო სუფთა და დაცული იყოს ბავშვებისათვის და ზოგადად მცხოვრებთათვის?

ამ კვირაში 30 ახალგაზრდა ჰოლანდიიდან, ესტონეთიდან, უნგრეთიდან, მოლდოვიდან, საქართველოდან და სომხეთიდან, შეიკრიბებიან ერთად რათა მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდულ პროექტში, რომლის დროსაც მონაწილეები იმობრავებენ ველოსიპედებით ბათუმში და მის შემოგარენში, რაშიც მათ ხელს შეუწყობენ თბილისის ველოსიპედისტთა კლუბის წარმომადგენლები. პროექტის მონაწილეები მოამზადებენ პრეზენტაციებს ველოსიპედების და საერთოს ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის შესახებ, აგრეთვე პარასკევ დღეს, 7 ივლისს დილის 11 საათიდან, ამ მიზნით ბათუმის ბულვარში პროექტის მონაწილეები გამართავენ ქუჩის აქციას. პროექტის მიმდინარეობისას საგამოებით გაიმართება მონაწილე ქვეყნების პრეზენტაციები.

9 ივლისს პროექტის მონაწილეები მიიღებენ მონაწილეობას ქუჩის აქციაში-ფესტივალი 'Footprints Festival', რომლის დროსაც მუსიკისა და პერადი ბანერების თანხმობით ველოსიპედისტები, სკეიტბორდისტები და ა.შ. აჩვენებ რომ ისინი ზრუნავენ თავიანთ ქალაქზე და ჰაერზე რომლითაც ჩვენ ყველანი ვსუნთქავთ. აქცია დაიწყება 2 საათზე ქალაქის მერიის შენობის წინ, შემდეგ მოეწყობა მსვლელობა რუსთაველის გამზირზე და დამთავრდება რესპუბლიკის მოედანზე საცეკვაო სანახაობით და მუსიკალური გამორბებით.

პროექტის ერთ-ერთმა მონაწილემ გადაწყვიტა ველოსიპედით ჩამოვიდეს ბათუმში ბუდაპეშტიდან და ამით ყველას აჩვენოს მაგალითი ეკოლოგიურად უსაფრთხო ტრანსპორტის შესაძლებლობები და უპირატესობანი, გზაში გამოვლილ ქალაქებში იგი აპირებს გაავრცელოს ქალაქების მინიციპალიტეტის ლიდერებში ზემოთხსენებული ტრანსპორტის საპოპულარიზაციო ბროშურები.

თბილისსა და ბათუმში, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები მოცვეულები იქნებიან რათა გაეცნონ ინფორმაციას, თუ როგორ გახდნენ ქალაქები მთელ მსოფლიოში უფრო სუფთა, მწვანე და უსაფრთხო საცხოვრებლად.

პროექტი ორგანიზებულია "Falkor I.C.Y." (ჰოლანდია) და "მშვიდობისა და განვითარების აკადემიის" (APD) (საქართველო) მიერ.

პროექტი ფინანსდება ევროკომისიის და საქართველოში ჰოლანდიის სამეფოს საელჩოს მიერ.

ფესტივალი 'Footprints Festival' ხორციელდება "ახალგაზრდული გარემოს დაცვითის ქსელი" მიერ, ბრიტანეთის საბჭოს დაფინანსებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის: www.falkor.org/projects/bbb.html www.apd.ge www.footprints.ge

საკონტაქტო პირები:

გიორგი კაკულია (APD) : +995 99 964599 (მობ), e-mail: giorgi.kakulia@gmail.com

ჟანიტა ტოპ (Falkor I.C.Y.) : +995 95 500024 (მობ), e-mail: info@falkor.org